საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION
NEWS
იანვარი - მარტი 2020
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სოფელ ფშაველში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს

21 იანვარი

საქართველოს მელიორაცია თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში ნაურდლის მაგისტრალური არხის, №1 წყალგამანაწილებლისა და მისი განშტოებების სარემონტო სამუშაოებს ახორციელებს.

ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან მაგისტრალური არხის 1600 მეტრიანი მონაკვეთი იწმინდება, რაც სარწყავი წყლის მიწოდებას სოფელ ჯუღაანის, სანიორეს, ართანასა და ნაფარეულის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესებს.

№1 გამანაწილებელზე და მის განშტოებებზე მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში, ვიწრო დიამეტრის ურდულები მსხვილი დიამეტრის ურდულებით შეიცვლება, ამავე ქსელზე დამატებით დამონტაჟდება ჰიდრანტები; მოეწყობა ლითონის მილი 1000 მეტრი.

ჩატარებული სამუშოები ქსელში წყლის მართვას უზრუნველყოფს, შედეგად მუნიციპალიტეტში სარწყავი წყლის მიწოდება 500 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება.

0114, საქართველო, თბილისი, გია გულუას ქ.№6 საინფორმაციო სამსახური: 2 001000 ელ-ფოსტა: info@ag.ge WWW.AG.GE

თბილისის წყალსაცავის პატარა ზღვის წყალმიმღები კვანძი იწმინდება

14 თებერვალი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ქვეყნის მასშტაბით აქტიურად აგრძელებს.

რეაბილიტაცია უტარდება თბილისის წყალსაცავის პატარა ზღვის წყალმიმღებ კვანძს და არხს. პროექტის ფარგლებში გაიწმინდა შემოვლითი არხი. გაწმენდითი სამუშაოები ჩაუტარდა წყალმიმღები კოშკის გვირაბს და გალერეას, გადაიხურა და ფილებით მოპირკეთდა გალერეა. გალერეის გასწვრის ნაპირები მოპირკეთდა რკინაბეტონის ფილებით.

სამუშაოები, რომელიც დასრულების ეტაპზეა კომპანიამ საკუთარი ძალებით 2019 წლის ნოემბერში დაიწყო.

ჩატარებული სამუშაოები ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ქვემო მაგისტრალურ არხში წყლის მიწოდების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. შედეგად, ქვემო ქართლში, 6000 ჰექტარზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გააუმჯობესებს სარწყავი წყლის მიწოდებას.

პროექტის ღირებულებაა 338 ათასი ლარი.

მიმდინარე სარეაბილიტაიო სამუშაოებს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი დავით წითლიძე შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელ პირებთან ერთად ადგილზე გაეცნო.

ახალი სამელიორაციო პროექტები ქვემო ქართლში

28 თებერვალი

ქვემო ქართლში მიმდინარე და დაგეგმილი სამელიორაციო ინფრასტრუქტურული სარეაბილიტაციო პროექტები და საექსპლუატაციო ღონისძიებები განიხილეს საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა, დავით წითლიძემ და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა, შოთა რეხვიაშვილმა რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებთან შეხვედრაზე.

დავით წითლიძემ მუნიციპალიტეტების მიხედვით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია იმ პროექტებზე, რომელსაც საქართველოს მელიორაცია ახორციელებს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პროექტებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს.

ამჟამად ქვემო ქართლში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 6 სარეაბილიტაციო პროექტი ხორციელდება, რომლის დასრულების შემდეგ დამატებით 2 900 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდება 4 ათას ჰექტარზე მეტ სავარგულზე გაუმჯობესდება.

კახეთში სამელიორაციო პროექტები განიხილეს

6 მარტი

კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა, დავით წითლიძემ და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, ირაკლი ქადაგიშვილმა, მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად, მიმდინარე და დაგეგმილი სამელიორაციო, ინფრასტრუქტურული, სარეაბილიტაციო პროექტები და საექსპლუატაციო ღონისძიებები განიხილეს.

შეხვედრის ფარგლებში, დავით წითლიძემ მუნიციპალიტეტების მიხედვით, ვრცლად ისაუბრა იმ პროექტებზე, რომელსაც რეგიონის მასშტაბით საქართველოს მელიორაცია ახორციელებს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სამელიორაციო პროექტებთან დაკავშირებით, თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს, რაზეც კომპანიის წარმომადგენლებისგან რეგიონის მასშტაბით, არსებული წყალსაცავების, მაგისტრალური არხებისა და შიდა ქსელების მოწესრიგებისთვის დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ მოისმინეს ინფორმაცია.

ტაშისკარის მაგისტრალური არხის მაწმენდითი სამუშაოები

11 მარტი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ შიდა ქართლში სარწყავ სისტემაზე გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებს.

მცენარეული ნატანისა და შლამისგან ტაშისკარის მაგისტრალური არხის მონაკვეთები (საერთო სიგრძით 4 კმ) იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს, რაც სარწყავი წყლის მიწოდებას 220 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე გაუმჯობესებს.

აღდგენილი საირიგაციო სისტემით სოფელ რუისისა და ბებნისის მოსახლეობა ისარგებლებს.



სოფელ ზემო ქვალონში სადრენაჟო სამუშაოები მიმდინარეობს

26 მარტი

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს.

ხობის მუნიციპალიტეტში სადრენაჟო სისტემების ადღგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

სოფელ ზემო ქვალონში ნატანი მასისაგან იწმინდება მ-1 დამშრობი მასივის წყალშემკრები არხები და კვალთაშორისი ორნატები, რომელთა საერთო სიგრძე 13 000 მეტრს შეადგენს. სამელიორაციო ღონისძიებები 30 ჰექტარ მიწის ფართობზე მიმდინარეობს.

სამუშაოების შედეგად, უხვი ნალექის შემთხვევაში, დამშრობი მასივის მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები არ დაიტბორება.